# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 256

„22" დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნუგზარ საჯაიას ქუჩისთვის ილია ჭავჭავაძის გამზირის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის „პ"ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ნუგზარ საჯაიას ქუჩას მიენიჭოს ილია ჭავჭავაძის გამზირის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_480159.5164
Y_ 4617989.3838
ილია ჭავჭავაძის I შესახვევი
X_480111.8409
Y_ 4617670.8864